# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველ-დღიური გამოცემა. — შაბათი, 14 ოქტომბერი 1900 წ. — № 1267

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში შ. არაგვისპირელის

**პირველი წიგნი**

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნიან. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. მაჭავარიანი (?) — თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი — სქესოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ს. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**12 ოქტომბერი**

**შანხაი.** საიმედო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩინელები ზამთარში სცდიან პეკინის დაბრუნებას.

**კანტონი.** მეამბოხეები გარს შემოერტყნენ გუჩჟოუს. მათ დაამარცხეს ჩინეთის საიმპერატორო ჯარი და შემდეგ დაიპყრეს ქალაქი სანჩჟაო. დღეს ამბოხებამ იფეთქა კამ-ხუნში, გუანდუნის საზღვარზე.

**შანხაი.** აქ მოვიდა ადმირალი სეიმური. თავადი უხტომსკი დღეს მიდის პორტ-არტურში.

პეკინსა და შანხაის შუა მიმოსვლა ძალიან გაძნელებულია. ფოსტა ექვს კვირას უნდება სიარულს.

ყოველი ცდა, რომ ტიანძინში კვლავ დაიწყოს ვაჭრობა, ამაოდ დარჩა, რადგანაც გაძნელებულია ტაკუში მიმოსვლა.

**იოკაჰამა.** სეულიდან იტყობინებიან, რომ დაიწყეს რკინის გზის კეთება სეულსა და ვიჩჟოუს შუა. გზას აკეთებენ საფრანგეთის ინჟენრები.

**შანხაი.** ვალდერზემ გაჰგზავნა შეერთებული რაზმი მინგის სამეფო გვარეულობის სასაფლაოებისაკენ.

**ბერლინი.** ცინტაუდან მოსულ ცნობებით, 10 ოქტომბერს ძიაუჯოუს მიდამოებში მოხდა ბრძოლა გერმანელებსა და აჯანყებულ ჩინელებს შორის. ორი სოფელი, რომელნიც კოურეიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ არიან, გერმანელებმა აიღეს. გერმანელთ არავინა ჰყავთ არც მოკლული და არც დაჭრილი; ჩინელებს კი ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს. გერმანელები ისევ დაბრუნდნენ კოურეიში.

**ლონდონი.** ლივერპულის სავაჭრო პალატის ნადიმზე სახაზინო კანცლერმა გიქს-ბიჩმა სიტყვა წარმოსთქვა ინგლისისა და გერმანიის შეთანხმების შესახებ. მან სთქვა, რომ გერმანიამ მიიღო ყველა წინადადებანი ინგლისისა ჩინეთის შესახებ. იმის აზრით, ამ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმით, რომ ორი უმთავრესი სახელმწიფო შეკავშირებულია ასეთ ძნელ საკითხში, როგორიც ჩინეთის საკითხია. თუ ამ შეთანხმებას მიემხრობიან სხვა სახელმწიფოებიც, უმთავრესად რუსეთი, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩინეთის საქმე მშვიდობიანად დასრულდება. ამ შემთხვევაში ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ინგლისის ინტერესები ჩინეთში სრულიად დაცულ იქნებიან და ყველა სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანური განწყობილება დამყარდება.

---

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✕ «ამურის კრაიში» შეგვხვდა საყურადღებო ამბავი, რომელიც შეეხება ციციკარის მიან-მიუნის მეუღლეს და აგვიწერს ამ ქალის შესანიშნავ ადამიანურ და კეთილ-შობილ ხასიათს.

როცა სამხედრო მოქმედება დაიწყო, რუსეთის რკინის-გზის მოსამსახურეებისა ნაწილი ჩინელებმა დაატყვევეს და ციციკარში მიიყვანეს. ჯერ ბრბო მასხარად იგდებდა მათ, შემდეგ წინადადება მისცეს ქრისტიანობაზედ უარი ეთქვათ და მიეღოთ ჩინური სარწმუნოება, გაუკვეთეს ნაწნავები, ბოლოს გადაუწყვიტეს ყველას დახოცვა. მაგრამ ეს ამბავი გაიგო ქ. ზ. შეუმ და მთელი თავისი გავლენა მოიხმარა, რომ გადაერჩინა რუსები, და მხოლოდ მისი ცდის წყალობით შერჩათ რუსებს სიცოცხლე. ამ ამბავს გაზეთი შემდეგი სიტყვებით ათავებს. ჩვენი განათლებული ქალები ამაყად უცქერიან «ჩინელ მხეცებს» და მეტარე მათ ცოლებს, მაგრამ მათ არ აწყენთ, რომ ცოტა რამ ისწავლონ ქ. ზ. შეუსაგან სულგრძელობისა.

✕ ახალ და არა მცირე მნიშვნელოვან დაბრკოლებად ჩინეთის საქმეების გადასაწყვეტად ჩაითვლება ახალი აჯანყება, რომელიც ასტყდა სამხრეთ ჩინეთში და მიმართულია, როგორც ამას ყველა ცნობები ცხადად გვიმოწმებს, წინააღმდეგ ეხლანდელი იმპერატორის დინასტიისა. კორრესპონდენტი «პარი ნუველისა» გვაძლევს თავის წერილში შემდეგ საყურადღებო ცნობებს შესახებ ჩინეთში ახალი შფოთის გაჩენისა.

მისი სიტყვით, ამ ახალი მოძრაობის სათავე არის ხან-კეუსა და ნანკინში, სადაც მან მიაღწია უდიდეს განვითარებას აგვისტომდე და შემდეგ დათრგუნვილიყო. ეხლანდელი უწესოება სამხრეთ ჩინეთში მხოლოდ სუსტი გამეორება-ღაა ამისი. აგვისტოს დამლევს ხან-კეუს მეფის მოადგილემ მოახდინა დიდძალი ხალხის დატუსაღება და გაჩხრეკა და აღმოაჩინა დოკუმენტები, რომლებიდანაც გამოაშკარავდა, რომ არსებობდა დიდი შეთქმულობა, რომლის ქსელიც მოდებული ყოფილიყო მთელ ჩინეთში. შეთქმულებს—რეფორმების პოლიტიკის მომხრეებს და ეხლანდელ დინასტიის მტრებს—ეწადათ ცეცხლით და მახვილით შეემუსრათ ყველა დიდი ქალაქები და ჩაეგდოთ თავიანთ ხელში ქვეყნის მართველობა.

მეფის მოადგილე ჩინგ-ჩი-ტონგი მხნედ შეუდგა შეთქმულების დევნას და ორ კვირაში გაიგო ყველა საიდუმლოება ამ შეთქმულებისა. მეთაურები დაატუსაღა, თავები დასჭრეს, ბევრნი ციხეში ჩაყარა, და ამით მოაშორა დინასტიას უმთავრესი საფრთხე, რადგანაც შეუძლებელი გახდა შეთქმულების ყველა განყოფილებათა ერთბაში და შეთანხმებული მოქმედება. ცალ-ცალკე ადგილობრივ აფეთქებათა გაქრობა უფრო ადვილი იყო. შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე საიდუმლო საზოგადოება, მაგრამ მისს სულსა და გულს შეადგენდა საზოგადოება «დამოუკიდებელ ჩინეთისა», ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, რეფორმათა მომხრეების დასი. ამას ამტკიცებენ შეთქმულთა პროკლამაციები, რომელნიც ხელში ჩაიგდო მთავრობამ. პროკლამაციებში ნათქვამია, რომ ეხლანდელ დინასტიას არ შეუძლიან მიანიჭოს ჩინეთს ეკონომიური კეთილ-დღეობა და სწორე სამართალი; მერე ისინი სცნობენ აუცილებელ საჭიროებად რეფორმებს, ევროპიულ წესებისა და განათლების შემოღებას.

✕ შეთქმულებს მოვალეობად ჰქონდათ დადებული, რომ ხელი არ ეხლოთ ევროპიელებისათვის და ეგრეთვე იმ ჩინელებისათვის, რომელნიც წინააღმდეგნი არ იქნებიან რეფორმების შემოღებისა. კორრესპონდენტი «პარი ნუველისა» შენიშნავს, რომ ამ პროკლამაციებში გამოცხადებული დედა-აზრები სწორეთ იგივეა, რასაც ავრცელებდნენ ჩინეთში ინგ-

ლისური გაზეთები. ამისა და აგრეთვე სხვა ნიშნების მიხედვით კორესპონდენტი ჰფიქრობს, რომ ეს აჯანყება მომზადებული იყო პირველად თითონ ინგლისელებისაგან. ესენი უწევდნენ რეფორმების მომხრეებს ყოველნაირ შემწეობას მათ აზრების შესრულებაში, სანამ შეთქმულებს საქმე არ წაუხდათ ჩინელი მოხელეების მხნედ მოქცევის მეოხებით.

∝ «სტანდარდ»-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: წინააღმდეგ სადიპლომატიო ზრდილობისა, ჩინეთის ელჩმა სამშაბათს თითონ ინახულა პრეზიდენტი მაკ-კინლეი და შემდეგ სამხედრო მინისტრი რუტი. რაზედ ჰქონდათ საუბარი ამ ნახვის დროს, არავინ იცის; მხოლოდ, ეჭვი არ არის, ვუ-ტინ-ფუანმა გადასცა წერილი, რომლის ასლიც ამავე დროს გაგზავნილი იყო რუსეთშიაც. ჰფიქრობენ, რომ საქმე შეეხება იმპერატორ კუან-სუს პეკინში დაბრუნებას ჩინეთის მეგობარ სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ. იქნება საქმე იმასაც შეეხებოდა, რომ ამერიკამ გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალა პეკინში და ამისათვის მოუხდა კიდეც საუბარი სამხედრო მინისტრ როტთან. კორესპონდენტი ინგლისის სამინისტრო გაზეთისა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამერიკას და რუსეთს შუა არ არსებობს არავითარი ერთობა. ვაშინგტონის გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელენი, ამბობენ, ვითომ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ პეტერბურგში გაგზავნილ წერილს და განზრახვანი რუსეთისა ჩინეთში პირდაპირ წინააღმდეგნი არიან ამერიკის განზრახვებისა. ამერიკა, — ამბობენ ისინი, — ყურადღებას მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებს აქცევსო.

∝ როგორც ვიცით, გერმანიამ ყველაზედ დიდ ხანს დააგვიანა პასუხი საფრანგეთის ცირკულიარული ნოტაზე. ამ პასუხის დახლოვებული აღწერა მხოლოდ ეხლა გამოვიდა ოფიციალურ გაზეთის «ნორდდეიჩე ალგ. ცაიტუნგ»-ში. ამ გაზეთის სიტყვით.

∝ გერმანიამ თავის პასუხში ყველაზედ უწინ შენიშნა კმაყოფილების გრძნობით ის გარემოება, რომ საფრანგეთის მთავრობაც ჩინეთის საქმის განხილვის დროს პირველ ადგილს უთმობს დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობას. რაც შეეხება დანარჩენ წინადადებათა, რომელთაც შეიცავს საფრანგეთის ნოტა, გერმანიის მთავრობის აზრით, არც ერთ მათგანს არ შეუძლიან გამოიწვიოს რამდენადმე პატივსადები წინააღმდეგობა. ამასთანავე ეს წინადადებანი იმ ნაირად არიან გამოთქმულნი, რომ ცხადად საფრანგეთის მთავრობას სწადიან დაადგინოს დაწვრილებითი პირობანი მათი განხორციელებისა შემდეგში, სხვა მთავრობებთან მოლაპარაკების საშუალებით. გერმანიის მთავრობას მტკიცე იმედი აქვს, თავის მხრივ, რომ ხსენებული მოლაპარაკება სახელმწიფოთა შორის მოიტანს ბოლოს ყველასთვის ერთნაირად სასურველს ნაყოფს.

∝ მაღალ-წარჩინებულ მოხელეთ და ჩინეთის მდიდარ სოვდაგრებს შანჰაიში მოუვიდათ ცნობა შესახებ თავად ტუანის დეპეშისა, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ იმპერატორის სახლობა უშიშარ მდგომარეობაში იმყოფება და ურჩევს ჩინელებს ცოტა მოითმინონ, სანამ არ დადგება სიცივეები, რომელნიც შეაფერხებენ ევროპიელთა მოძრაობას: «სიცივე აიძულებს თეთრ ეშმაკებს დასტოვონ ჩრდილოეთის პროვინციები» შემდეგ ტუანი აცხადებს, რომ არსენალებში დღე და ღამე უნდა იმუშაონ საომარ მასალების და იარაღების დასამზადებლად და ყველა პატრიოტები უნდა შეერთდნენ და გარეკონ უცხოელები ჩინეთიდან.

∝ ჩინეთის ელჩმა ლონდონში გამოაცხადა, რომ მას არ მოსვლია ნამდვილი ცნობა შესახებ იმ ხმებისა, ვითომ ჩინეთის იმპერატორის გადაუწყვეტია პეკინში დაბრუნება ამერიკელ რაზმის მფარველობით. ელჩმა გამოსთქვა აზრი, რომ კვანგ-სუს არა აქვს განზრახვა სამუდამოდ დარჩეს სიანში. იგი დაბრუნდება პეკინში, რა წამს მოლაპარაკება მშვიდობიანობაზედ კეთილად წარიმართება.

∝ «მორნინგ პოსტი» იუწყება, რომ რუს-ჩინეთის შანჰაის ბანკის მდგომარეობა ღირსია დიდი ყურადღებისა: ჰფიქრობენ, რომ ბანკი იმყოფება მალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში. როგორც ცნობილია, ჩინეთის მთავრობამ შეიტანა ამ ბანკის თანხად 5 მილიონი ტაელი; ზოგიერთი უცხოელი გაზეთები ამბობენ ამის თაობაზედ, რომ თუ ეხლა ბანკმა ზარალი ნახა პოლიტიკური შფოთის გამო, ეს ზარალი უნდა იზღას იმ ფულიდან, რომელიც ჩინეთის მთავრობამ შეიტანა ამ ბანკში.

∝ ინგლისური გაზეთების ცნობით, მანჯური იუ-ჩანგი დაინიშნა იმპერატორის ბრძანებით ხუპეს გუბერნატორად. ორი მეზობელი პროვინცია: ხუპე და ხუნანი შეადგენენ მეფის მოადგილის საბრძანებელს, რომლის უფროსადაც არის ჩინ-ჩიატუნგი, რომელიც უნიჭიერეს კაცად ითვლება ჩინეთის სახელმწიფო მოქმედ პირებში. იუ-ჩანგის დანიშვნამ მოახდინა, «დეილი ნიუსი»-ს შანჰაელი კორესპონდენტის სიტყვით, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება უცხოეთის კონსულებზედ, რადგანაც იგი ჰნიშნავს ჩინეთის მთავრობის გადაწყვეტილობას — იანძეს პროვინციის მეფის მოადგილეებს მხარში ამოუყენოს ისეთი კაცი, რომელიც მტრულად უცქერის ევროპიელებს. წინანდელ ცნობებიდან ვიცით, რომ იუ-ჩანგი მედგარი მფარველი იყო მოკრივეთა მოძრაობისა ხუნანის პროვინციაში.

«მორნინგ პოსტს» დეპეშით სწერენ ამის თაობაზედ შანჰაიდან:

«იუს დანიშვნა ხუპეს გუბერნატორად მოასწავებს საყურადღებო წინააღმდეგობას ჩინჩიტუნგის მეგობრულის გავლენისას. იუ არის ძმა იუნ-ლუსი, რომელმაც ითავა უდიერი სიკვდილით დასჯა მრავალ რეფორმატორებისა. მისი დანიშვნა გვიჩვენებს, რომ თავად ტუანს ჰსურს გამოიწვიოს მოკრივეთა მოძრაობა იანძეს პროვინციებშიაც. ხმები იმის შესახებ, ვითომ თავადი ტუანი იმპერატორის რისხვის ქვეშ იყოს, აშკარა ტყუილია. ეს გარემოება დიდად აჩერებს ვაჭრობას შანჰაიში. ჩინელების ბანკებიდან ორი უკვე გაკოტრდა და, უეჭველია, შობამდე ყველა ეს ბანკები მოსპობენ თავიანთ მოქმედებას. შანჰაის ბანკის დირექტორს ჰსურდა შეეკრა შანჰაის საბაჟო შემოსავალი, რომ აეღო სარგებელი ჩინეთის სესხისა, მაგრამ ტაოტაი შენმა გაჯავრებით უარ-ჰყო ეს ზომა. იმპერატორის შანსიში გადასახლებამ შეიძლება სულ დაღუპოს რუს-ჩინეთის ბანკი».

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ ჩუნ-კვეი-ხონგი, რომელიც ურჩევდა დედოფალს მოკრივეების სამუდამო ჯარში ჩარიცხვას, დაინიშნა ახალი სატახტო ქალაქის სიანფუს გუბერნატორად.

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 13 ოქტომბერს, საღამოს, მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისისკენ მომავალი სადგურებ კასპსა და გრაკალს შუა დაეჯახა კასპიდან გრაკალისაკენ მიმავალ საქონლის მატარებელს. რა წამს ტფილისში მოვიდა ამბავი მომხდარ უბედურებისა, თავი მოიყარეს ტფილისის სადგურზედ ბ-ნმა შაიკევიჩმა, მატარებელთა მიმოსვლის უფროსის თანაშემწემ კარპოვმა, დეპოს უფროსმა, გზის ნაწილის უფროსმა ინჟინერმა, მატარებელთა მიმოსვლის რევიზორმა და ექიმმა აპარინმა. გამოწვეულ იქმნენ რკინის გზის საავადმყოფოდან ფერშლები, მოამზადეს საკაცეები და სხვა საჭირო იარაღები დაშავებულთა პირველი შველის აღმოსაჩენად და საგანგებო მატარებლით გაემგზავრნენ გრაკალისაკენ. თან წაიყვანეს საჭირო მუშები. ადამიანთა მსხვერპლი რამდენია, ვაგონებს რა დაემართათ, ჯერ ამის შესახებ ამბავი დაწვრილებით ტფილისში არ მოსულა.

✦ ხვალ, 15 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება შეერთებული კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა და იმ პირთა, რომელნიც ქალაქებმა და სხვა-და-სხვა დაწესებულებებმა დანიშნეს. კრებამ უნდა განიხილოს მომავალ **სამეურნეო გამოფენის პროგრამა.**

✦ ხვალ, 15 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში დაიწყება მოქმედება **სამხედრო ბეგრის კომისიისა**, რომელიც კენჭს უყრის სამხედრო ბეგრის მოსახდელად წელს გამოწვეულ ტფილისის მცხოვრებთ. კომისიაში არიან: თავმჯდომარედ — ქალაქის თავი გ. გ. ევანგულოვი; წევრებად: სამხედრო უწყებიდან — პოდპოლკოვნიკი ა. ს. ელენტი, პოლიციიდან — ბოქაული ე. ა. დუშინსკი, ქალაქისაგან — ხმოსნები ა. ი. ოდნოსუმოვი და ი. ს. ბულდანოვი; ექიმები: სამხედრო — ს. ე. ერმოლაევი და ქალაქისა — ნ. ა. ზელნიცკი. სულ გამოწვეულია 700 ზედ მეტი ახალგაზდა; მათგან წაყვანილი იქმნება სამსახურში 209 კაცი.

✦ საეკლესიო-სამრევლო და პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად სასულიერო წოდებას განუზრახავს დააარსოს ტფილისში (ხარფუხში) **უმაღლესი საეკლესიო სამასწავლებლო სკოლა** ან საეკლესიო სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელთან დაარსებული იქმნება აგრეთვე სანიმუშო ბაღი, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ საფუძვლიანად შეისწავლონ მეურნეობა.

✦ **ტფილისის საზღოსნო სასწავლებელში** 12 ოქტომბერს დასრულდა გამოცდა. კურსი დაასრულა სულ 16 მოწაფემ. იმათგან ცხრა ქართველია და შვიდი სომეხი. აი ქართველების გვარები: ევსევი ბერიტაშვილი, მიშა გამყრელიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, სანდრო ქურდოვანიძე, გედევან ქუთათელაძე, ლადო ციციშვილი, გიორგი სარაჯიშვილი, გიგო როსტომაშვილი და ნიკო ცისკარაშვილი.

✦ **საქართველოს რუსეთთან შეერთების** ასი წლის იუბილეის შესახებ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, იმ კომისიის წინადადების მიუხედავათ, რომელიც ითხოვდა აღძრულ იქმნას წინადადება ტფილისში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლის შესახებ, წინადადებ

შეიტანოს ქალაქის საბჭოში სამშობიარო სახლის დაარსების, სკოლების გახსნის და სტიპენდიების დანიშვნის შესახებ.

✦ გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი შენიშვნა: „კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს სხდომაზე, ორს ოქტომბერს, მეოთხეჯერ მოწონებულ იქმნა სამოსწავლო სახელმძღვანელოდ ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ს უკანასკნელ გამოცემათა ორივე ნაწილი“. ამ შენიშვნას ჩვენდა სასიამოვნოდ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ხსენებული სახელმძღვანელოები დღითიდღე გზას იკვლევენ კავკასიის გარეთაც კი. წელს, მაგალითად, ყაზანის სახალხო სკოლების დირექციამ დაიბარა ას ორმოცდა ათი ცალი „Русское Слово“-ს პირველი ნაწილი და ამდენივე მეორე ნაწილი.

✦ დაბა სოჩში (სოხუმის ოლქი) არსდება **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.**

✦ როგორც შევიტყვეთ, სამეურნეო საზოგადოების სტატისტიკად, ნაცვლად სერგეი დანდუროვისა. რომელმაც უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ, მიუწვევიათ **სტეფანე ალ. დანდუროვი.**

✦ გეოგჩაის მაზრაში (ბაქოს გუბერნია) **საქონლის ჭირი** მძვინვარებს. სოფ. გალაგაში 500-მდე თავი საქონელი დახოცილა. ტფ. საგუბერნიო მმართველობა ზომებს იღებს, რომ ჭირი არ შემოიტანონ ტფილისის გუბერნიაში.

✦ სოფ. საგარეჯოდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ ბოლო დროს **ავაზაკობა მეტად გახშირდა.** მკვიდრ მცხოვრებთ არ ახსოვთ, რომ ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ცარცვა-ტაცებას ისე ეჩინოს თავი, როგორც ამ უკანასკნელ წელს. გაზაფხულს აქეთ 7—8 კაცი მოუკლავთ თათრებს. ამ დღეებში საგარეჯოს მინდორში სიღნაღელ მწყემსებს დასცემიან თათრები და მოუწადინიათ ცხვრების დატაცება. ერთმა უიარაღო მწყემსმა, სხვა რომ ველარა მოუხერხა-რა, გულდამწვარმა დაჰკრა ერთ ავაზაკს ჯოხი. მეორე თათარმა ესროლა თოფი მწყემს და მოკლა. ამავე დღეებში დასჭრეს მეორე მწყემსი, რომელიც ამ ჟამად წევს საგარეჯოს ქსენონში. დღე არ გაივლის, რომ საგარეჯოს მინდვრიდან საქონელი არ დაიკარგოს.

✦ ამ დღეებში პეტერბურგიდან მიღებულ იქმნა ექსარხოსის განკარგულება, რძმლითაც ბეთანიის **მონასტერი**, თანახმად მისის განმაახლებელის თ. დავით ზაქარსას ძის ბარათაშვილის თხოვნისა, დღეის იქით გორის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდლო კირიონის გამგეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. („ივერია“)

✦ იგივე ვაზეთი სწერს: „უწმინდესის სინოდის ბრძანებით, გორის ეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო **კირიონი**, საქართველო-იმერეთის კონტორის წევრადა და თავმჯდომარის თანამდებობას აღმასრულებლად იქმნა დანიშნული“.

✦ ნოემბრის შუა რიცხვებში მოხდება ჩვეულებრივი წლიური კრება **ბაქოს ნავთის მწარმოებელთა.**

✦ „ნოვოე ობოზრენიე“-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ 10 ოქტომბერს იქაურს საოლქო სასამართლოში გაირჩა **საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეებად ნამყოფების** გაბუნიასი და ჰიჰინაძისა, რომელთაგანაც პირველს ჰბრალდებოდა ხსენებულ სკოლის ინსპექტორის ბ-ნ გარსევანაშვილის მოკვლის განზრახვა, ხოლო მეორეს სკოლის დარაჯის მოკვლის დამუქრება. ორივენი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი და ორივეს მიესაჯა დაპატიმრება: გაბუნიას—4 თვით, ხოლო ჰიჰინაძეს—ერთის თვით.

✦ იმავე გაზეთს ბათუმიდგან ატყობინებენ, რომ 11 ოქტომბერს ნავთ-სადგურში დაღუპულა ერთი ნავი და **დაკარგულა ოთხი მუშა.** სულ ნავში 24 კაცი ყოფილა, მაგრამ 20 გადაურჩენიათ.

✦ 22 სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე ტფილისში 9 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით;** მათგან: დიფტერიტით—1, ქუნთრუშით—4, კუჭის სახადით—2, ყელჭირვებით—1 და ჰლექით—1 კაცი.

✦ **შულავერის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორის** შესანახი ხარჯი, რომელსაც დღემდის სოფლის საზოგადოება იძლეოდა, ეხლა ხაზინას შეეწერა.

✦ ოდესის გაზეთების სიტყვით, **ტყიბულის ქვა-ნახშირის** მადნების საზოგადოების გამგეობას მიუმართავს წინადადებით სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების მმართველობისათვის იმის შესახებ, რომ საზოგადოება 50 მილიონ ფუთ ქვა-ნახშირს გამოუგზავნის ხსენებულს მმართველობას გზების საჭიროებისათვის.

✦ 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათ. და 4 წ., სოფ. წიფში (შორაპნის მაზრა) საკმაოდ მძლავრი **მიწისძვრა** იყო.

✦ ამ ხანებში, როგორც ასტრახანის გაზეთები იუწყებიან, გამოჩენილა **დიდძალი ნავთიანი ადგილები** ყირგიზის მინდორში, კასპიის ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე. რამდენიმე ათასი დესეტინა სახელმწიფო ადგილზე მილიარდობით ნავთი არის. როგორც ხმა ისმის, ამ მინდვრებზე გაცილებით უფრო მეტი ნავთი მოიპოვება, ვიდრე ბაქოში.

✦ ეკატერინე აველიქოვისას, თავის ქმრის ანდერძის თანახმად, ყოველ წლივ შეაქვს სახელოსნო სამმართველოში 114 მან., რომელიც ეძლევა ხოლმე რომელიმე ქალაქის ხელოსნის **ქალს მზითვად.** ანდერძის თანახმად ამ ფულის განაწილება უნდა მოხდეს ხოლმე ხელოსანთა ამქრის წარმომადგენელთა თანადასწრებით. 10 ოქტომბერს სახელოსნო სამმართველოში წილი ჰყარეს და აველიქოვის ნაანდერძევი ფული შეხვდა ქალაქის ხელოსნის ხაჩატუროვის ქალს.

✦ ამ დღეებში ტფილისის მაზრის ადმინისტრაციამ შეიტყო, რომ ტფილისის მაზრაში გაჩნდა **ციმბირიდან გამოქცეული,** სოფ. ტაქვლის მცხოვრები, ხას-მამედი, რომელსაც ციმბირი გადაუწყვიტეს კაცის მოკვლისათვის. სამაზრო ადმინისტრაციის განკარგულებით გაგზავნილ იქმნა დარაჯთა რაზმი, რომელმაც ერთ ღამეს თაქლას ახლო ნახა სამი თათარი. თათრებმა მოისურვეს დამალვა და როცა დარაჯებმა დაუძახეს დადექითო, მათ თოფის სროლით გასცეს პასუხი. დარაჯებმაც გაისროლეს თოფები და მოჰკლეს ერთი თათარი. მოკლული აღმოჩნდა თვით ხას-მამედი. ორნი გაიქცნენ და მიიმალნენ. ხას-მამედს ოთხი ტყვია მოჰხვედროდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ თათრები მოდენილან მოკლულის სახლში, სადაც მისი ცოლი და მშობლები სცხოვრობენ. გაქცეულების ვინაობა ჯერ არ იციან.

✦ 1899 წ. 11 მარტს ჰიათურის რკინის გზის სადგურზე თურმე ქეიფობდნენ ს. წერეთელი, ს. აბაშიძე და ყარამან აბდუშელიშვილი. ამ დროს ბუფეტში მივიდა ერთი ჩეჩენი და ჰსურდა პაპიროსის ყიდვა. მებუფეტეს პაპიროსი არა ჰქონოდა. მოქეიფე წერეთელმა პაპიროსის მაგივრად ჩეჩენს აბაზიანი შეაძლია. ჩეჩენმა იუკადრისა წერეთლის საქციელი, რაზედაც წერეთელმა უპასუხა: „თუ გინდა აიღე აბაზი, თუ არა და გასწი აქედგანაო“, ჩეჩენი წავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთს უკან დაბრუნდა; თან მოიყვანა ამხანაგი ჯურაბ ჯამბათოვი. მან მოსთხოვა მოქეიფეთ პასუხი შეურაცხყოფისათვის. შეიქნა ხმაურობა. მებუფეტემ სთხოვა ყველას გარედ გასულიყვნენ. გარედ რომ გამოვიდნენ, ყარამან აბდუშელიშვილმა სილა გაარტყა ჯამბათოვს. ამ დროს მოცვივდნენ ჯამბათოვის ძმა და თავადი ივანე დ. აბაშიძე ესროლეს აბდუშელიშვილს რევოლვერი და მძიმედ დასჭრეს.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ თავ. ივანე დ. აბაშიძეს მიუსაჯა ტობოლის გუბერნიაში გადასახლება, ხოლო ჯურაბ ჯამბათოვს დატუსაღება სამის წლით. ტფილისის სამოსამართლო პალატამ გუშინ-წინ დაამტკიცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი.

✦ სოფელ დრანდაში (სოხუმის ოლქი) **კოდორის ხიდი**, რომელიც რამდენიმე წლის წინად წყალ-დიდობამ დააზიანა, გადაუკეთებიათ და ხიდზე მიმოსვლის ნება მიუციათ.

## თეატრი

— **ოპერა.** ისე სუსტად წარმოდგენილი „დემონი“, როგორც ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, ჩვენ არ გვინახავს სახაზინო თეატრში არასოდეს. ისევ წინანდელი წარმოდგენა ამ ოპერისა წარსულ კვირეში, როდესაც ლოდის უფერულმა სიმღერამ გააფუჭა შთაბეჭდილება, სჯობდა გუშინწინდელს წარმოდგენას. სვეტლოვის თამაში დემონის როლისა კრიტიკადაც არ ღირს; არტისტი თითქოს პირველად გამოსულა სცენაზე: არც მიხვრა-მოხვრა, არც სიმღერა მას არ უვარგოდა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ არტისტს საკმაოდ მძლავრი და სასიამოვნო ხმა აქვს. დემონის პარტია ამ საღამოს სრულიად უვარგისი იყო, ამიტომ სხვებიც ვერ ჰგრძნობდნენ თავს კარგად, სხვებიც ვერ შევიდნენ როლში. ქ-ბ. რადინისა ბევრს სცდილობდა გრძნობიერად ემღერეთამაშა, მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაუარა: უფერულად წარმოგვიდგინა თამარის ტანჯვა-ვაება და მისი სულიერი დრამა. გვარიანი იყო ამ საღამოს მხოლოდ ბ. ერნსტი თავადის პატარა როლში. გვარიანად ასრულებდნენ აგრეთვე თავის საქმეს ვაჟების და ქალების ხოროები, რომლებმაც საკმაოდ სასიამოვნოდ და მწყობრად აღასრულეს ლამაზი სიმღერები რუბინშტეინის ოპერაში. საზოგადო ანსამბლი ცუდი იყო და ეს ასეც იქმნება სანამ დასში რიგიანი ბა-

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Октября 1900 г.

რიტონი არ იქმნება მოწვეული, რომელსაც შეეძლება დემონის როლის ასრულება რიგიანად.

## საღამოს დეპეშები

**13 ოქტომბერი**

**ვაშინგტონი.** ამერიკის ელჩმა მიიღო რწმუნება შეუდგეს მოლაპარაკებას ჩინეთის კომისსარებთან, ხოლო არ გადავიდეს იმ ფარგალს რომელიც შემოხაზულია სხვა სახელმწიფოებისაგან. სახელმწიფოები გაჰმართავენ თათბირს იმ პუნქტების შესახებ, რომელთ გამოიწვიეს უთანხმოება, რათა მიაღწიონ სრულს შეთანხმებას. ხმა ისმის, რომ პეკინში მყოფ სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც მიიღეს ამგვარივე ინსტრუქციებიო.

**ტიან-ძინი.** გუშინ გამოვიდა ექსპედიცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ რუსები, გერმანელები და ფრანგები. გერმანელები მიდიან ხსიანგოზედ, რუსები და ფრანგები პაოდიზე. კოლონნა შესდგება 1000 კაცისაგან, აქვს ორი ზარბაზანი და ჰყავს კავალერიაც. ექსპედიცია საჭიროა, რათა გამაგრებულ იქმნას ტიანძინისა და პეკინის შუა გზა, რადგანაც დიდი ნაწილი „დიდი მუშტისა“, ჩინეთის ჯარისაგან განდევნილი ბოჩიანგისა და ლუტაიადან, გამაგრდა ხსიანგისა და პაოდიში, პეკინიდან 40 მილის მანძილზედ აღმოსავლეთით.

**ტიანძინი.** გენერალი ინიაშანი მოვიდა აქ ამერიკის ღარაჯთა მფარველობით. ამბობენ, რომ ის მიუწვევია ვალდერზეს პეკინში. გერმანელები ჰგზავნიან სურსათს პაოტინფუში, სადაც ისინი ზამთრის გატარებას აპირებენ. იმპერატორის ჯარები ჰმოქმედობენ ტიანძინიდან სამხრეთით „დიდის მუშტის“ წინააღმდეგ. ამას არ ეწინააღმდეგებიან მოკავშირეთა ჯარები.

**კოლსბერგი.** ფილიპოლისი, რომელზედაც ბურებმა იერიში მიიტანეს და რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ აიღეს, უკანასკნელ დღეებში უკანვე აიღეს იომანრის და სხვა ორმა რაზმმა. ბურები, რომლებმაც დიდი ზარალი ნახეს, იქ ბლომად აღმოჩნდნენ. ზოგი ბურის ქალები იერსფონტენიდან წავიდნენ, როგორც ამბობენ, ღამით რკინის გზით კოლსბერზედ. ისინი იმიტომ წაიყვანესო, რომ შემწეობას უჩენდნენ ბურებსაო.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 გ. 8½ კ. |
| სუკი | . . . . . | » — 15 კ. |
| » ცხვრისა | . . . | » — 8½ კ. |
| » ღორისა | . . . | 1 — 8 კ. |
| » კამეჩისა | » » | » — 8 კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი | . | 1 » — 10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | « |
| იგივე თონისა | I | » | » | » 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | « |
| ლავაში ქვ. მამ. | I | » | » | » 6 | , |
| » » | II | » | » | » 4 | , |

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოგზალზე:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., | |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | | კაპ. |
| ქერი . . . . . . | 1— | მ.— | 70 | | კ. |
| სიმინდი . . . . . | 1— | | 65 | —— | |
| ფქვილი სოფლისა. . | 1 | 1 | —20— | | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 51 | —10 | |
| კომბოსტო. . . . . | 1 | — | 50 | —— | |
| კარტოფილი.. . . | 1 | — | 55 | —— | |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 30 | —— | |
| თივა . . . . . . | 1 | — | 25 | —— | |
| ბზე. . . . . . . | 1 | — | 23 | —— | |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 54 კ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 90 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., გარეცხილი— მ. 8 მ. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება გოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი პელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი №** 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო** მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი** № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო** მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო** მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო** მატარებელი **№** 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი **№** 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ.

მატარებელი **№** 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე —საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი **№** 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავგარაკო მატარებელი **№** 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს. საღ.


## განცხადებანი

**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტიანობის საქართველოში ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ხახანაშვილისაგან

მიწოდებულია ქუთაისის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან

საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

გამომც. გ. გუნია


Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.